საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2020

I კვარტალი

20.05.2020

www.geostat.ge

20.05.2020

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2020 წლის I კვარტალი)

სასაკლაოები

2020 წლის I კვარტალში საქართველოში 87 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 19.5 პროცენტი - ქვემო ქართლში, 16.1 პროცენტი - კახეთში, 12.6 პროცენტი - შიდა ქართლში, 12.6 პროცენტი - იმერეთში, 12.6 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 26.6 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის I კვარტალი



20.05.2020

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის I კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 68.3 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 39.3 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 60.7 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2 686.6 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2020 წლის I კვარტლის განმავლობაში 8 596.8 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 30.5 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 48.2 პროცენტი - ფრინველის, 20.4 პროცენტი - ღორის, 0.6 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 8.2 ათას პირს, საიდანაც 34.3 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 790 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 25.5 ლარი, ცხვრის ან თხის - 9.9 ლარი, ხოლო ღორის - 23.1 ლარი.

20.05.2020

სამაცივრე მეურნეობები

2020 წლის I კვარტალში საქართველოში 64 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (51.5 პროცენტი) რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქ. თბილისში (14.1 პროცენტი), ქვემო ქართლის (10.9 პროცენტი) სამეგრელო-ზემო სვანეთის (10.9 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (4.7 პროცენტი), იმერეთის (4.7 პროცენტი), კახეთის (1.6 პროცენტი) და გურიის (1.6 პროცენტი) რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის I კვარტალი



2020 წლის I კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 329 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 124 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 821 კაცით განისაზღვრა.

20.05.2020

2020 წლის I კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 59.4 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 62.7 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 16.0 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 9.1 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 7.5 პროცენტი თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წლის I კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2020 წლის I კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 4.3 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 4.3 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის I კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 33.4 მლნ. ლარის ღირებულების (7.6 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (36.1 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 73.4 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (49.3 პროცენტი) და ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (31.1 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ქათმის ხორცი, ხილი, ბოსტნეული და თევზეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 53.2 პროცენტს, თებერვალში - 51.8 პროცენტს, ხოლო მარტში 53,2 პროცენტს.

20.05.2020

ელევატორები

2020 წლის I კვარტალში საქართველოში 21 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (42.9 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 28.6 პროცენტი ფუნქციონირებს შიდა ქართლის რეგიონში, 14.3 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 9.5 პროცენტი ქ. თბილისში და 4.8 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის I კვარტალი



2020 წლის I კვარტლის განმავლობაში მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 73 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 847 კაცით განისაზღვრა.

2020 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 125.0 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 73.6 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქატო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წლის I კვარტალი



2020 წლის I კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 89.6 მლნ. ლარის ღირებულების 106.0 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 57.1 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 84.6 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) იანვარში შეადგენდა 45.0 პროცენტს, თებერვალში - 40.5 პროცენტს, ხოლო მარტში 37.0 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge